აბიტურიენტის უფლება-მოვალეობები

1.1 აბიტურიენტი ვალდებულია:

1.1.1. გამოცხადდეს გამოქვეყნებული განრიგით გათვალისწინებული შემოქმედებითი ტურის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე და გაიაროს რეგისტრაცია; რეგისტრაციის გავლისას აბიტურენტმა უნდა წარადგინოს საგამოცდო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

1.1.2. წერით გამოცდებზე აბიტურიენტმა 1.1.1. პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტაციის გარდა თან იქონიოს მხოლოდ ფანქარი, საშლელი და კალმისტარი;

1.1.3. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციისას აბიტურიენტმა განაცხადში მიუთითა კონსერვატორიის რამდენიმე პროგრამა/სპეციალობა, მან კონკურსი უნდა გაიაროს მის მიერ დასახელებულ ყველა პროგრამისთვის/სპეციალობისთვის გათვალისწინებულ შემოქმედებით ტურში;

1.1.4. გამოცდის დასრულების შემდეგ საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელს ჩააბაროს გამოცდაზე გამოყენებული ყველა (მ.შ. "შავი") ფურცელი;

10.1.5. შეასრულოს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები და საგამოცდო კომისიის წარმომადგენლის ცალკეული მითითებები.

1.2. შემოქმდებითი ტურის მსვლელობისას აბიტურიენტს ეკრძალება:

1.2.1. ნებისმიერი ელექტრონული საშუალების (მობილური ტელეფონი, ხმის ჩამწერი საშუალებები, ფოტო და ვიდეო კამერები და სხვ.) გამოყენება;

1.2.2. გამოცდის მსვლელობისას თამბაქოს მოწევა ან მოსაწევად გასვლა;

1.2.3. ქაღალდის შეტანა. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ფურცლით უზრუნველყოფა მოხდება გამოცდაზე;

1.2.4. საგამოცდო მასალებზე ყალბი ინფორმაციის მითითება;

1.2.5. კონსპექტების, „შპარგალკების", წიგნებისა და სხვა მასალების გამოყენება;

1.2.6. სხვა პირის დახმარება, სხვისგან დახმარების მიღება, ამის მცდელობა ან სხვა პირის ხელშეწყობა დახმარების მისაღებად;

1.2.7. საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერის გაკეთება, საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება;

1.2.8. სხვა აბიტურიენტისთვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით;

1.2.9. გამომცდელის მითითებების შეუსრულებლობა, მითითებების გაპროტესტება გამოცდის მსვლელობისას ან გამომცდელის შეურაცხყოფა;

1.2.10. გამოცდაზე იკრძალება საკვების შეტანა (წყლის ან გამაგრილებელი სასმელის გარდა) და საღეჭი რეზინის გამოყენება. აღნიშნული არ ვრცელდება განსაკუთრებულ შემთხვევებზე (რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს კომისიას);

1.2.11. ზემოაღნიშნულ პუნქტში მითითებული თუნდაც ერთ-ერთი ქვეპუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში აბიტურიენტი ერთჯერადი გაფრთხილების შემდეგ იხსნება გამოცდიდან.